

პეტრა, 12 ოქტომბერი 1917 წ.

რედაქციის აღრიცხვა:
თფილის, ოლდას ქუჩა, № 6.

— ვალი 15 კაპ. —

გ რ ა მ ა ბ ი ლ ი

№ 7

(1917)


ზ 0 ნ ა ბ ა ს 0: სიცილი და ტირილი, — ეჭმაკი. შე
ქანჯალებულის წერილები, — შექანჯალებული. ჭრილ
ამბები — მორიგელი, პატარა ფულეტონი — თასაში. წერილი
რედაქტირის — კრესელიძე. ნაწყვეტები — ი. ტოფაძე.
ფოსტა. ქრისტიანიდან — მარდარი (ხუნაგი). საუზაო —

ხინჩია. პორფირი სკუპ დე — ბოდბიქენტა. შესტერც-
ლი — ი. გოდეგოთელი

პარიკატშრები: პოლინ ლთა სიკითხი რუსეთშ; ლ-

სარება. დაწინაურებული წუბა.

პოლონეთის საქოთხი რუსეთში



სიცილი და ტირილი

(ფსიოლოგიური გამოკვლევა)

ჩვენ არა ერთხელ გვისაუბრია პატივცემულ
შეითხეველთან იმ სასიმოვნო საგანზე, რომელსაც
სიცილი ეწოდება და იმ არა სასიმოვნოზე რომე-
ლსაც ეწოდება ტირილი.

მაგრამ მაშინაც მოგახსენეთ და ახლაც მოგა-
ხსენებთ, რომ ამ საკითხის საბოლოო გამორკვევა
შორეული მომავლის საქმეა. დღეს-დღეიბით საკი-
თხი ეს მთელის თავისი ბუმერაზული ახოვნებით
სდგას კაცობრიობის წინაშე, ვითარდა სუინქი
ეგიძეტისა.

უკანასკნელ ჩვენს გამოკვლევაში აღნიშნულ საკი-
თხის შესახებ, ჩვენ მოვიყენეთ ღრმა ფილოსოფო-
სიური და კვირკვებანი უდიდესი ქართველი მოაზრის
სოლომონ ზურგილიძისა, ხოლო დღეს მსურს
თქვენი ყურადღება შევაწეროთ არა ნაკლებ ნიჭიერის
და თანაც ახალგაზრდა ფილოსოფოსის ივ. გომა-
რთლის გამოკვლევებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით სიყურადღებოა ბ-ნი
გომართლის სტატია: — „სახას-ლწლო“ უურნ. „თეა-
ტრიისა და ცხოვრების“ პირველ ნომერში მოთავსე-
ბული. აქ მდაბიო ენით, მაგრამ განუსაზღვრელი
გონება მახვილობით და გულრწყველობით არის ქება
შესმული უმშვენიერესი სულიერი განცდა ჩვენი,—
სიცილი

„შორს ტირილი და ცრემლები! მი-
ვეგებოთ ახალ წელს მხიარულნი, სიცილით
ცეკვით, სიმღერით, დაფითა და ნაღა-
რით.“

ამბობს ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი და თი-
თონვე სეამს სულმოკლეთა და ლაქართა მიერ მოსა-
ლოდნელ შეკითხვას:

„— მერმე, რა გაქვს სამხიარულო და
საცინარიო? იქითხავთ ოქვენ.

სწორეთ ამიტომ უნდა ვიცინოთ და
ვიმსიარულოთ, რომ საცილარი და სამხია-
რულო არაფერი გვაქვს, ოქვენა გვითიათ,
შწუსარების დროს ადამიანს ტირილი შმარ-
თებს?

ეკითხება მეცნიერი სულმდაბალთა ბრძოს და

როგორც მოსალოდნელი იყო, თვითვე აძლევს
განმანალგურებელ პასუხს:

— „მე კი მგონია, რომ შწუსარცბის დროს
ადამიანს მხილოდ წიცელი შმართებს. სი-

ცილი მეტი არაცერი!

ცრემლი ტირილის შეილია*, უწყე-
ობის, უძლურების მუდმივი თანაგზავრი.

სიცილი კი სიბრძნის შეილია, — ძილ-
ერების, ფოლადი გულის მხლებელი.“

ვინ იქნება უურნერი, რომ შეცნიერის გულწრფე-
ლობაში იქვი შეიტანოს? აქ გამოთქმული აზრები
იმზომ კატეგორიულია, რომ მა ლირსებათა მიხდა
ვით ჩვენ ნება გვეძლევა ახალგაზრდა მკვლევარი
ბ-ნი ივ. გომართელი, უწარჩინებულესი მაძიებელის
სოლომონ ზურგილიძის დონეზე ავმაღლოთ. ეს
იშვიათი მოვლენაა ქართულ ცხოვრებაში და ბ-ნი
ივ გომართლის სასაჩვენებლოთ ბევრს ლალადებს.

რომ ყოველი ეპიზი გაპერს შესახებ იმისა, თუ
ახალგაზრდა სიცილი აქვს მხედველობაში ჩვენს სახე-
ლოვან მეცნიერს, იგი დასტენს:

— მე იმ სიცილს არ მოგახსენებთ,
რომელსაც თითის აწევა, ან იღლიაში
ლიტენი გამოიწვევს ხოლომე.

სიცილი, ცეკვა სიმღერა უდიდესი
განსაცდელის წინაშე, უდიდესი უბედუ-
რების მოლოდინში. სიცილი, ცეკვა, სიძ-
ღრია თვით სიკლილის წინ.“

ამ ის დებულებანი, რომელიც აუწყა ქართველ
სახოგადოებას საყარელმა მეცნიერმა ახალი წლის
პირველ დღესვე. როდესაც მე ეს წერილი წავიკითხე
მყისევ დაიბადა ჩემ თვალ წინ წარმტაცი სურათი:

ქართველი გლეხის ღარიბი ოჯახი. ზელის
და ვიწრო ითახიდან კედელთან ტახტზე სდგას ორი
პატარა კუბო. იქვე კუბოების მახლობლათ მოსახნს
სარეცელზე მწოლიარე ავათმყოფი გაერთიანებული.

*) ეს აზრი საესებით ჩვენს ახალგაზრდა მკვლევარს არ
ეკუთვნის, ვინაიდნ აზრი იგი მასშე გაცილებით აღრე და
გაცილებით უფრო გარკვევით გიმოსთქვა. ნეტარხესნებულმა
სოლომონმა.

„ცრემლი ჰქვია მლაშე წყალსა,
თვალებიდან მოჩეუჩებეს

იგი ტირილის შეილია...“

(სიცილმაც იცის თუმცადა.)

ბთან ზის ივ. გომართელი დაირით ხელში და უკრავს „ნაურის ლექურს“. მხიარული დედ-მამა, წითელი ხელსახოცებით ხელში, მომჯადოებელ ლეკურს უვლიან.

— ვამ, ვაშა! აღლოვებულის ხმით იდახის აღტაცებული შეცნიერი, რომელმაც სხვის ოჯახში დამარცხა სიკვდილი და თფილი კუბოების წინ სიკილისა, ცეკვისა და სიმღერისა სურათეველი ააგო.

ჩემს მესიერებაში აღსდგა აგრეთვე დიდებულივე სიტყვები ჩენი ცნობილი კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილისა, რომელმაც დაამტკიცა, თუ როგორ სძლია სიკვდილი ქართველმა კაცმა თავისი მუსიკალური შემოქმედებით და სურათის დასაგვირგვინებლათ ყოველოვე იმას ზედ დაერთო ღვთაებრივი სახე სიცილის მოციქულის სოლომონ ზურგიელიძისა.

ახალგაზრდა მეცნიერის ჩეკულებრივი სახე უკვდავების სხივით შეიმოსა:

— ი კაცი, რომელმაც სძლია სიკვდილი და ცარემლთა ნანგრევებზე ააგო მეცნიერი სასახლე სიცილისა, ცეკვისა და სიმღერისა მეთქი ვოცნებობდი მე.

მაგრამ....

ნურამც ყოფილა ქართულ ენაში ეგ ეჭვებისა და უნდობლობის მშობელი სიტყვა „მაგრამ“! მას ერთად ერთს შეუძლია არარად აქციოს მთელი დიდებული ოქროს სასახლე წარმტაცი იმედებისა, მას ერთად ერთს შეუძლია დაანგრიოს მტკიცე კედელი მეცნიერთაგან აგბულის ხელთუჭმნელი ტაძრისა.

„თეატრისა და ცხოვრების“ მე-6 ნომერში წერნამა ახალგაზრდა მეცნიერმა ბ-ნმა ივ. გომართელმა კვლავ მოათავსა ჩეკულებრივ საყურადღებო წერილი „ჩემი მოგონება“. ამ წერილში გ-ნი გომართელი იგონებს ახლად განსვენებულ მასწავლებელს აღ. ჭიჭაძეს და სხვათა შორის სწერს:

„სიყვარულის ლამპარი, რომელიც ალექსიმ დაანთო მოწაფეთა გულში, აღარ ჩამქრალა და არც ჩაქრება, სანამ მისი მოწაფენი საფლავში არ ჩავლენ.

არა, მაშნაც აღარ ჩაქრება, შვილებს გადასცემნ, რომ მათაც იყო აუღნენ როგორი ადამიანი იყო ალექსი ჭიჭაძე

შე კი, ჩემო საყვარელო, ჩემო ტქბილო მასწავლებელო, გეფიცები, გსტირი, როცა ამასა ვსწერ, შენს შესახებ.“

ა სამწუხარო დასკვნა იმ დიდებული, ზეკაცური გამოკვლევისა, რომელიც მოანიჭა ქართველ ერს ივ. გომართელმა „თეატრისა და ცხოვრების“ სახალწოლ ნომერში.

სტირის ის, ვინცამბობდა: „ნიცილი. ცეკვა, სიმღერა თვათ საკვლილის წინ“—ამ სტირის ის არა თუ სიკვდილის შემდეგ, არამედ სტირის „წერის დროს.“ სტირის ქართველი მეცნიერი, რომელმაც სძლია მწუხარება სხვის ოჯახში, და არა თუ სტირის, კი დევაც გვაცება, რომ ის ჰეშმარიტათ სტირის.

და ი, სწორეთ ეს ფატი შეგვიძლია გამოვიყნოთ იმ „ხეხად“ რომელსაც წყლწლდებული ეკიდება და დაგასცენთ, რომ სწორეთ ეგ ფიცა ამ შემთხვევაში მაჩვენებელია ფორმის უგულწრფელობისა, ხოლო ეს გარემოება კი საშვალებას მოგვცემს სასახლო მაშულიშვილი კვლავ ივიყვანოთ ძელებურ სიმალლეზე, სადაც ის სიცილითა და ცეკვა—სიმღერით მუსრაცდა ცრემლსა და მწუხარებას.

ეჭვაი.

შეკაჯალებულის წერილი.

(შემდეგი.*)

ჰეი ჰოი ჰაი ჰუი,
ამ დროებას თფუი, ფუი!..
ჰერი, ჰერი, ვახე, ვახე,
აგათა გარ, მოღი მნახე...
ლოგიში ვარ, ვეღარ ვილტვი,
ანთებისეან დაფნა ფილტვი...
სიცე მხრაკავს—მწყურს სასმელი...
მიხარია დელი, დელი:
არ მჭირდება აწ საჭმელი,
გაღმირჩა ფეხსაცმელი,
ლოგის ქვეშ მაქვს ჩაუცმელი...
—

აღი ძმაო, ზეზე აღი,
წყალი მასვი, ჭაში ჩაღი...

*) იხილე ეშმ. მათრახი № 4.

ხუთ მანეთად ფუთი მქადი?..
მე ვარ ფაშა, მე ვარ ყადი..

ლალე, ლალე, თარითულა ლალე,
ჭაში ჩამსევს, მწყუროდა,
და ჭა ამოვცალე...

რა ვქნა არვინ მომიუროთხილდა,
სიცხე ორმოცს გადასცილდა
და თუ კიდევ მომემატა,
ცივი ტილო მომე მატა!!!..

ფუ! დეიქცეს ეს ბათუმი...
უქნოა, ყრუ და მუნჯი...
გასწი ბიჭო იქით ხელი...
რათ დამადგი ეს უღელი?!
ვინ დანიშნა ეს ჯუღელი,
„ზევიდან“ რომ ჩამოფრინდა...
(ვინცხა ცხვრისე წამაფრინდა)...
ეს არავის გაუგია...
ნინას ნოხი გაუგია...

შენ ვინახარ, სადაური?...
აწ თუმნად ლირს ინდაური?...
აგაღლიჯო გინდა ყური?...
მომენატრა თეთრი პური...

ჰე, ჰე, ჰე, ჰე, კის-კის-ჟისი —
ვინ წამისვა წვერზე ფისი...
წახთა ნემოს-ბენეფისი...
პლანერს, უდანოეს საათები...
ნემომ ლოკოს სულ თითები...
ამჟერია ქართველები.
გამისწორე ქალო ღები.
უქმროთ დარჩენ სულ ქალები...
აგლაჯუნდა თავში ტვინი...
რა ლროს მოკლეს რასპუტინი??

ბათუმში ვარ, მივალ თფილის,
იქ მე მინდა ყიდვა კბილის;
რა ვქნა, ვინ ამილებს ბილეთს,

რა ამრავლებს ამ ხალხს შილეთს...
არ მესროლოთ, გასწით თოფი...
მე ავათ ვარ... ავაღმყოფი.—
ჰე; მოპეალით ის ოფოფი,
გაუკეთეთ შებლზე კოპი.
(კიდევ დავწერ)

ზამოძალებადებული.

ჭრელი პეპები

ართი სერიოზული...

გუშინ წინ ჩენა მეეზოებ (ელის. ქ. № 712)
ასეთი საპატიო წერილი მიიღო ერთი სერიოზული
ქართული უურნალისაგან.

„ლრმათ პატივცემულო ბატონი!
გავკალნიერდი და თქვენდა დაუკითხავთ
გავტედე მესხლებინა თქვენთვის უურნალ
„ცხოვრების“ ნუმერი.

ლრმათ დარწმუნებული გახლავარო,
თქვენისანა ქართველი ადამიანი პირადის
ხელის მოწერით დახმარებას გაუწევთ ლა-
რიბ რედაქციას, რომ ეს ერთი სერიოზუ-
ლი ქართული უურნალი ნივთიერათ ფეხზე
დაღეს.

ამ უურნალში მონაწილეობს ბევრი
ნიჭიერი და მომზადებული ქართველი
მწერალი.

უურნალის ფასი წლით გახლავთ 6
მან. დასასრულ, მიიღეთ ჩემი უმდაბლესი
სალამი და ლრმა პატივისცემა.

დავრჩები თქვენი წარმატების და
დღეგრძელობის გულწრფელი მსურველი.

რომანიზ ვანცხაპა”.

სამწუხაროთ ჩენი მეეზოვე ჩამომავლობით
ქურთა, ქართული ლიტერატურა ნაკლებ იცის,
მაგრამ ესეც არ იყოს ჩენ არ უნდა დაგაძალოთ
ჩენი უურნალ-გაზეთობა ქურთ-მესულმნებს, ვინა-
ლდან ასეთ პოლიტიკას შეიძლება მოპყვეს ეროვნულ
საკითხის გამწვევება. სულ სხვა საქმეა ქართველო-
ბა. აქ მორიცება საქირო არ არის მეტადრე სერი-
ოზული ორგანოსაგან.

„იმედის“ ალონიშვილება.

„ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდათა დამხმარე“ საზოგადოება „იმედის“ სასალილო გახსნა, ჟელი უკერძოის შენობაში. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობას „კატლეტი და ბორშჩი“ ვერ დააკმაყოფილებს სულიერათ. ღვინო კი „იმედის“ სასალილოში აკადული იყო. კველა-ფერში ასეა, ჩვენს ეროვნულს სასალილოსაც არ გვანებდენ. ბავშვმაც კი იცის, რომ ქართველი ახალგაზრდობის ასაღლორძნებლათ ღვინო აუკილებელ საქართველოს წარმადგენს, რომ ქართველ მამული შვილს საქართველო სწორეთ მესამე ბორლის შედეგ მოაგონდება ხოლმე.

მრავალი ცდა დარჩა საჭირო, რომ საზოგადოების თავმჯდომარისათვის მიეცათ ნება ღვინით ვა-კრობისა. ეს დიდი ნაბიჯია ზროგებსის გზაზე გა-დადგმული. მართალია თითოეულ ნიჭიერ ახალ-გაზრდას მხოლოდ ნახევარი ბოთლი შეუძლია მოთხოვოს, უკეთ ვსთქვათ გზა განვითარებისა შებორ-კილია, მაგრამ ამ გარემოებას შეიძლება შემოაუ-როთ. ის როგორ:

ბ-ნი ზურაბი ავათ გახდა. ექიმი მოიწიგებ. ექიმმა გასინჯა ზურაბი, გამო-უწერა წამლები და დაუნიშნა დიეტა.

— ღვინოზე უარი უნდა სთქვა, ვა-დრე მორჩებოდე; უთხრა მან ზურაბს.

— რასა ბრძანებ, ბატონი ექიმი, — აღველვებით მიუვო ავათმყოფა — ულვა-ნოთ ხვალვე მოვკედებ. როგორმე...

— კარგი, კარგი, შეგიძლია მხოლოდ ერთი ჭიქა დალიო, ზედმეტი იცოდე სა-ჭამლავი იქნება.

ზურაბი დაეთანხმა. დილით მან ჩა-მოიარა მთელი ბაზარი ქუთაისისა და ერთ დუქანში იპოვა ის, რასაც ექებდა: ჭიქა, რომელშიაც ბოთლნახევ რი ლინა ჩადიოდა. იყიდა და წაიღო სახლში. ის აგსებდა ჭიქას პირამიდე და იზოგებდა მთელი დღის განმვლობაში. მეორე დღეს ექიმი გან-ცვილებული დარჩა საარაკო სანახაობით.

ქართველებს საზოგადოთ (ნიჭიერებს ხომ მით უჩეტეს) კარგ საქმეში მიმარტველობას გვიჩებენ.

მორიგეონ.

ბ ს ც ა რ ა ფ ე ლ ე მ ნ ი

ლომი მოციქულებათ.

(ივ. ვი. ძღვნათ ფისაც ერგება.

ლომმა გაიგო, რომ სიმართლება ისეთი ნიეთი, ქვეყანა თავსა სიმტკუნის დროს იმართლებს რითი — და იწყო ტკმილით ქადაგება ქრისტიანობის... სიბრძნით მცემარე მისი ენა ძმობა-ერთობის ნათელს აფრევევდა-შვების მაღლით რწმენის მსახველი, გვარდა შორად მით, ყრუ ტყეში, ლომის სახელი მიიღინა წამლათ მხეცათა გულში იბეჭდებოდა, და მსმენელო გუნდი მის გარშემო გაიზრდებოდა... ყველას ერთობის მახარობლის დანახვა სწყურდა, ყველას ერთ ურთის ჯინით მისა გაცნობა სურდა და ერთხელ იგი ახლო სმენად ვეფხმაც ისტუმრა. რა ნადირთ ხორცით სავსე არ ქნა მდიდრული სუფრა! ნახარკ-ნახარკი ჯიხვი, არჩი ვის რაც უნდოდა — მოშადრევანე ლალსა სიტყვებს ჩქერა გამჭვინდა... მაგრამ ხომ იცით: „კატის ლხინი, თავის ცრემლია!“ ვეფხვის ნადიმით დაზიანდა ლომის მრევლია. მან ხევწნით მოძღვაოს გაუგზავნა დეპუტაცია:

ირემი, შველი, სხევაც, მრავალი — ბევრი ნაცია; — მოთმინებისა — მოახსენეს — დავსვით დარია და აწ მოძღვარო გვიხსენ... მისგან — უჩვენეს ვეფხზე — ძილი ვერ მოგვდის, ვედარ ვდგევართ შიშითა ფეხზე... და... აქ განაბეს იმათ სული: რომ ხორცის თვეის მოძმეთ ნახეს თვით უჯდა, ვინც მსაჯულათ უჩნდათ და მოწ-მეთ...

მაძლარი თავი ჩიტენია მოძღვარმაც მძიმეთ: — ხორცის სიმრთლეს ნუ მიჰყობით, მას, შვილნო, სლოიეთ:

სიმრთლე მხოლოდ სულიერი რწმენით ეძიეთ!.. მთხოველოთ კი მძიმე გააფთრებით იძუეს კული... „ხორამ“*) საყდარში ვერ დამალოს თავი ან ქუდ!

დარაში.

*) ხორა — ქუციანი.

თერიო ჩედაქტორის

ბ-ნო რედაქტორი

თქვენი პატივული უურნალის მე 5-თე ნო-
მერში მოთავსებულია წერილი ვინმე კ. ნ-ვილისა.
ისა სწერს ვითომ მე ვიყო ენის მიმტან-მომტანი
ბრიგადირთან და ვეწეოდე ლაქეცობას. ყოველივე
ეს ჩემზე შეთხული ცნობა სრული / სიყალზე და
ცილისწამებაა. ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცე-
ბლათ ვიწევთ ბ-ნ. კ-ნ-ვილის სამედიატორო სასამა-
რთლოში. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ
ა. ჩერნიშევს და დ. კარსალიძეს. ამ წერილის გა-
მოქვეყნებიდან ვაძლევ ერთი კვირის ფადას, რათა
კ. ნ-ვილმაც დასახელოს თავისი მედიატორები.
მედიატორთა განაჩენი უნდა დაიხედოს თქვენს
პატივული უურნალში. უკეთუ ჩემ შესახებ შეთ-
ხმულ ცილისწამებათა ავტორი კ. ნ-ვილი არ ისურ-
ვებს სამედიატორო სამართალს, უფლება მექნება
ვუწიდო მას ცილისმწამებელი

გლაჭიშვილ კირსელიძე.

ნ ა წ უ ვ ე ს ე ბ ი

ერთხელ, აკაკი, თმა შევერცხლილი,
მე გამოსული ვნახე სცენაზე.
და, ვარდის ენით, შაირი ტეპილი
მორაკარაკბდა იმის ენაზე...
ის ვარდიცვალა, უკვე დავმარხეთ,
შაგრამ სულ თან მდევს მისი აჩრდილი;—
ალბათ გაცოცხლდ და მწარე ენით,
სასაფლაოში მოკვეთა სიკედილი...
ასეა ცველა ხალხის ქურუმი.
სიკედილს თითონ ჰკლავს, ის კი არ ჰკლება.
აჩრდილი მისი აზრს სიცოცხლისას
უფრო გარკვევით ესაუბრება.
* * *

ქვესან ეშმაკი გადაიხარხა,
და ქვეშევრლომებს ასე ახარა:—
— კაცობრიობის სინდის-ნამუსი,
ფულს დავასკვენი ცხრა ჯერ კუდზედა;
სიტყვის მასალად ვაქციე ფიტა

რჯულზე, სინდისზე და მამულზედა.
ხალხიც ეშმაკს ჰგავს, — ყველამ გაიგო
ფულმა ქვეყანა როგორ არია.
შეიტყვეს, ვინაც ფულით ვერ ძღება,
ის რომ ეშმაკის მიმდევარია...

* *

როცა ფიქრებს თავს დავახშევ
მეცინება მე, ღმერთმანი,
რომ ჩემ სატრუტის მთვარის ზურგზე
დაუნიშნე პავმანი.
რა მინდოდა ეგრე შორე?
აქ მენახა ჩეგნი ქალა...
მოდუდუნე მდინარის პირს
მასთან გრძნობა გამეშალა
ეჭ ფიქრებო, სულ ბავშურად
რას დახტიართ? — უნდა გადროთ
მე თქვენს ხუნტრუცს ვერ ავყვები,
მე მიწა მაქვს სანავარდოთ...

ინ. ტოლაძე.

ვ რ ც ე ბ ი

პოზიციებს. თქვენი ლექსი „ოში მიგდიგარი“,
ურუანტელს გვვიჩის. მეტალრე ის ადგილი, სადაც
სწერია:

,პოზიცია მეც მსურს ვნახო
თან გაესინჯო მე ურაპელი“...
იქ ჩემი სისხლიც დაინგრეს
შეიღებოს წითლად ველი.

პოზიციზე, გასვლამდე რა ასეთი ხართ იქ
რაღა იქნებით ახლა კი შეგვიძლია ზაფშე ვიოცნე-
ბოთ.

ბ-6 ბეჭურის (განმარტება) თქვენ, მოწყალეო
ხელშიფევ, იქრებით: „პირველათ ჩოხატაურის
ვიში ნაჩი უჩილინიაში სტავლის ფული ზ0 მანათი
იყო, ახლა 60 მანათი გახადეს. ამას ვინ ჩივოდა
ბალნებს რომ რამეს მანც ასტავლიდენ და სულ
ერთთავათ კარტს არ თამაშობდენ. ვოხოვ რედაქ-
ციას ერთი ჩამიხატის მაგენი-ი.“

,ეშმაკის შათრახის“ რედაქტორა კარეგორიულათ
ეწინააღმდეგება თქვენს ცნობას კარტის თამაშის

შესახებ და მით უმეტეს სწავლის ფულის მომატების ამ საკითხთან დაკავშირებას, როგორ შეიძლება კარტის მოთამაშეს თამაშის დროს კონი შემოაკლდეს და მაშინვე სწავლის ფული მოუმატოს. სხვებს რომ თავი დავანებოთ აღნიშნულ სკოლის სახელმწიფოს თავდაცვის საქმეშიაც დიდი ნამსახურობა მიუძღვის: ჩევნ დანამდვილებით ვიყით, რომ პირველ ხანგბში საპრაპორშიკო ახალგაზრდობას ეკუთხენის დასაჭერათ ეს პუნქტი ჰქონდა ანარჩევი. თქვენს წერილში ყველაფერს გაიგებს კაცი. ბ-ნო ბეჭუკი, მაგრამ ჩევნ ვერ გავიგეთ რა კავშირია ზემორე აღნიშნულ სასწავლებელსა და თქვენი ურმის გატეხის შორის. ურმით ხომ არ დაგეავდათ კარტის სათამაშოთ? ჩევნის აზრით ურმის გატეხას უფრო მეტი კავშირი გზის უფარგისობასთან, ან ურმის სიძველესთან უნდა ჰქონდეს. ამგარათ იცოდეთ, რომ საეშმაკო ცნობას მეტი საბუთები და ობიექტიური სარჩევი სჭირდით.

ერთი დღიური

ჯინასიტკარაბა.

უნაკლო ხალხსა არ ქმნის ბუნება, ბევრს თვასი ხევდრი მუნ ეწუნება: ხოგს სჯის განეტა, ნაკლ აძლევს ზეცა და ნუ გიკვიდეთ, ვამბობდე მეცა, რომ ქმაყაფილი არ ვიყო ხევდრით და არ მომწონდეს რაცა მშვდა ბედით. მაგრამ ზეცის შეილს, კაცსა მიწიერს, (არ მოგახსენებთ მავნეს, ბიწიერს) მოვალეობა თავს აწევს დიდ

(მეტი სათქმელი განგებ დაემალე, რაღაც ინტერესს დაკარგავს მაშინ, თუ რომ სიტყვებში ჟველა ავაგეთ და საფიქრელი ჩევნი საქმენი ასე უბრალოთ უქმდა წავაგეთ). მაგრამ დღიური ნაწერი ქვემო (კარგად უსმინე, მკითხველო ჩემო), თქვენ დაგანახებს თუ რა შევძელი და შეცომება ახალი, ძველი, გამოვასწორე ვით ლარ-ნახაზი და გოგოები ლაშაზი, ნაზი გარსა მეხვევა ვით თაფლს ფუტკარი და დრო უწყალო გამფრენ ჩეარი ქმუნვის მავიგრათ სიხარულს მომფენს, რადგან ქალები ჩემ მხარეს მოფრენს.

25 იანვარი

დღეს ქუთაისს ჩამოვედი და ბულგართან გამოვედი. გვერდში მომხვთა დიდი მუშთი, მას თან მოყვა თოვლის კუშთი, მაგრამ შიშმა ვერ შემიბყრო (გულმაც ნაზი ცემა იწყო) მაინც გავჭერ ხალხი სქელი, გოგო ვნახე განზე თხელი, ზევით ეცვა კოფთა გძელი, მაგრამ არ ჩნდა კაბის წელი. იყო კოხტათ ფეხთ ჩატმული და აზრები ზემოდ თქმთლი, გადუშალე ვებორე, შეურიგდი გამიცინა, ფეხს უჩქარა, სხვას გაასწრო და გზა ასე დაიწინა. არ გაწითლდა, გათამამდა და თავს არა დაიჩინა, მხოლოდ მითხრა გაძედულათ: „არ აღმოვჩდე ფუტურისტი,“

აშენარაა მას მოსწო ა
 აფიცერი, ან ტურისტი.
 გამიხარდა. გავიცინე,
 რაღან „ლუშა“ გავიჩინე,
 (მაგრამ კაშე, ამის შემდეგ
 ლაშით ვეღარ დავიძინე)
 და „მშვიდობით“ უთხარ როცა,
 მან ბარათი ხელში მომტა.
 ალბათ შეცდა, სხვა ვეგონე,
 ან მიცნობდა, გავეგონე,
 თორემისე შეხვედრისას,
 სად შეთხზავდა წერილს მისას?
 რას მეტყოდა, გადმიშლიდა,
 და ან კოცნას „ლაშიშლიდა!..

განდარი

დღიური იპოვა და შეასწორა
 ხუცები.
 (შემდეგი იქნება).



— შვილო! უზენაესი ყველაფერს ხედავს. გულის ზრახვა ჩვენი, არა თუ საქმენი თვალსაჩინონი, ხილულ არიან მოწყალე თვალ თა მისთავოს. სთქვი ყველაფერი გულ ახლილათ, დაუფარავად.

— მეტის, მამაო სახიერო.

— მეათე მცნების წინააღმდეგ შეგიცოდვის, შვილო!

(პიანო) შემიცოდვის.

— შეგნდოს მეუფებან. მეექვსე მცნებისა წილ?

— არა, მამაო.

— კურთხეული იყავ და კვალად ერიდე ცოდვას. მიგირუებია, შვილო, ვინმე.

— არ მახსოვს მამაო.

— გაგიცარცვავს ვინმე აშკარად.

— არა, არას დროს.

— სახელი ღვთისა გიხსენებია, შვილო, ამასა

ზედა?

— მისენებია, თუმცა იშვიათად,

— მარხვა გაგიტეხია, შვილო?

— გამიტებია, მაგრამ უნებლიერ, მამაო, რას

აზამ, როცა ჭალაქშა ლობიოს ვერა ვშოულობთ, იძულებული ვხდებით ინდოური ვებმოთ.

— დედ-მამისთვის გიწყენინებია როდისმე?

— არ მახსოვს.

— შაქარი მოგიპარავს პატარაობისას?

— პატარაობისას? არა, არა მამაო.

— ადექ შვილო. წადი. გაკურთხოს ღმერთმა.

მ უ ს ა ი ფ ი

(ხცევა ლეჩქუმის ცხოვრებიდან)

ორბელის წვერზე შეხვდებიან ერთმანეთს გლეხები: ნიკოია, იყინიკა და გოგიელა.

გოგიელა. კაცო ლურჯ ბილეთიანები კიდევ გაყავენ ვინიშია, მართალია?

ნიკოიე. გაიყვანებენ—მაში?

გოგიელა. ჰო და, ქვე ვიღან დარჩება ამ ოხერ სოფელში?

ივანიკა. ვინ და ის, ვისაც „მოხერხება“ აქვს.

ნიკოიე. საშვალება მართლა ბევრია: ვინც სტრაჟნიკათ შევა.

ივანიკა. ვინც გზების, ან ხე-ტყის სამუშაოთ გავა.

ნიკოიე. ვინც ფულს დახარჯავს, ისეც ნაშველებია.

გოგიელა. შენ გამოცდილი კაცი ხარ, ნიკოიე, ეგბის რამე გამომირჩიო ჩემი ბოშის შესახებ; ის თუ წაიყვანეს, შიძშილით სული ამოგვედება მე და ჩემ დედატერს.

ნიკოიე. ქვე რა გამოცდილება გინდა; ფულია საჭირო. ფულით ყველაფერი გაკეთდება.

გოგიელა. ჩემი უხედურებაც ის არის, ლარი-ზი ვარ, მარა ფულიც რომ მომცა, რა ვიცი სად რა უნდა.

ნიკოიე. ჯერ წერალი და მამასახლისი უნდა დააბურო. ათი თუმანი ეყოფა თითოს. მერე ცოტა შენი უბნის პოპოშინიკაც უნდა მისცე. რასა-კურეველია სტრაჟნებიცუნდა მოიმაღლიერო და ორ-სამკ ვირეს შენა ბოში ხელუხლებელი იქნება.

გოგიელა. კაი დაგემართოს, მარა მერე?

ნიკოიე. ამასობაში ოთხას-ხუთასი მანეთი უნდა იშოვო და არინ ასეთი კაცები, რომ ამ ფულით საქმეს გაგიკეთდებნ „პრი-სურსეიში“ და შენი ბოშიც გამოძრება.

გოგიელა. ქვე ბეჩა ნიკოიე, ამიღონის მოხერებას რომ მქონდეს, შერე რალა მიჭირს;

ნიკოიე. აბა ნატრით ეხლა „საქმები“ არ კეთდება და რა ვწანათ.

ივანიკა. ჩემი ბოში ილოიე ქვე შევიდა სტრაჟნიკათ და შენც შეიყვანე.

გოგიელა.

აბა ინ მიაშაბებს ჩემს ბესიკელას სტრაჟნიკობას?

ივანიკა. ვინ და გაყიდე ხარი, ძროხა, ცოტა ადგილსაც მოაკელი და იშონე სამას—ოთხასი მანეთი; ეს ფული მიეცი სადაც რიგია და წენი ბოში ერთ კვირაში მიიღებს სტრაჟნიკობას. ჩენ შორის კი დარჩეს და მე შემწე ბატონები მყავდა და იმიტომ მარტო სამასი მანეთი გადამახდევინებს... მარა ისეც უნდა იცოდე, რომ შენი ბოში ერთ წელწადს სრულ ჯამაგირს ვერ მიიღებს, მარა რა უშავს ქვეყანა ფართეა და ეხლა სტრაჟნიკებსაც კაი შონის დრო აქვთ. შონაა, შონა—ბიძიაეს!..

გოგიელა. ქვე ხარი, ძროხა, გასაყიდი ადგილი და სამას—ოთხასი მანეთი ფული რომ მქონდეს მერე რალა მიჭირს? მეც ვიცი, რომ შეძლებულის შეიღები არხენად დაარებან.

ივანიკა. აბა შეძლოცვათ გინდა გადარჩეს?

ნიკოიე. გზების სამუშაოთ, ან ხე-ტყის საჭ-რელათ რატომ არ გუშვებრი?

გოგიელა. უთუოთ აქაც ფული იქნება საჭირო?

ნიკოიე. უფულოთ დღეს ფეხსაც ვერსად გადგამ მიძიავ! მუშათ რომ გინდოდეს საღმე ჩაწერა, ამისთვის ფოდრაჩის უნდა მიართვა ამ თავით ხუთი თუმანი მაინც და მერე ერთი წლის განმავლობაში უჯამაგიროთ უნდა იმუშაო შენის ხარჯით და ეს გარემოება შეღვაათს აძლევს.

გოგიელა. ჰოიდა, ბარემ ვოინში წავიდეს ის არა სჯობია? ეს, დაგელოცა ღმერთო სამართალი

გოგიელა. ღმერთო!... როდემდის, როდემდის და იმა დრომდე, ბატონია სანამ ფული; არ მოაწევს ის ნეტარი, გადამწყვეტი, დრო დათ-ქმული,—სანამ მმა გოგიელა, ეს ცხოვრება მეტად რთული—შენებრ ბედით ჩაგრულთათვის კელა იქნება მწარე, კრული.

მაგრამ ვსთხოვთ ჩენებს მეგობრებს, ეშმაქა და მორიელსა, რომ ვინც ლეჩქუმს უქანასიათ აკეთებს არაფერსა, —ერთი მოსცხოს მან მათრახ სამარტინო ადგილ-ველსა, რომ ამათი ცოტაოდნ შვება მისცეს ლეჩქუმელსა.

პორფირი ასცუკაძე

(დასასრული)

2 მახ.

სრული ორი საათი იყო. პორფირი სახე მტკუნვარე და ჩაფიქრებული, სახლისკენ მიღიოდა. სახლის კიბეს რომ დაუაზლოვდა ის ფეხის. ცერებზე შედგა, სრულიათ გაუხმაურებლად ავიდა ზევით, ნელა გაღმა წინა ოთახის კარი და შეუმჩნევლათ შევიდა... ითაში არავინ იყო... მაგრამ ჩუ. მას თითქო მეორე ოთახიდან ლაპარაკი შემოესმა. პორფირმ სული განაბა, და უური დაუგდო. ლაპარაკი მართლიც მოისმოდა, მაგრამ ნელა, გაურკვეველი. პორფირი ჩუმის ნაბჯით ითახის კარგბთან მიიტრა, ჩაიჩქა, ცალი უური ჭუკრუტანას მიაღოდა და სმენათ გადაიქცა.

— ჩემო სიურცხლევ, ჩემო ცხოვრებავ! აბა სად მიდიხარ? ჩემს კალთაში ყოფნა მოგწინდა? ჩემო ლაშაზო, მოდი ჩემთან, მოდი მოდი გაეოცო მოდი! აი ასე, აი ასე..

შემოესმა პორფირის ცოლის წერიალი ხშა. ის პირველი უურს არ უჯეროდა. მაგრამ სიტყვები ისე გარკვევით და მკაფიოთ მოისმოდა, რომ აშკარა იყო მისი ცოლი ვიღაცას გალერსებოდა.

— უველაფერი გათავედა, მიღილატა, მიღილატა ტანჯულის ხმით გაისინა პორფირიმ, უეპველათ საყვარელია, საყვარელი!

საბრალო პორფირი! მის გულში სხვა გრძნობებთან ერთად შიშიც აღიძრა. მას ვერ გადაეწყვიტა შევარდნილიყო ითაში, პირის-პირ შეხვედროდა საყვარელი და გასწორებოდა მას, თუ დამალულიყო, საყვარლისთვის წასვლა ეცლია და მერეჯავრი ცოლზე ამოეყარა?

— რა ვქნა?.. შევიდე? იქნებ იმ შეყვალსაც აქეც იარაღი უეპველათ ექნება!.. და მერე რომ არ მომერიღოს.. მომკლას... მერე სიკვდილი... ასე უმიზნოთ, უსარგებლოთ... მაშ რა ვქნა, როგორ მოვითმინო, როცა ჩემს ცოლს ვაღაც ეალერსებგა?!

— ასეთ რყევაში იყო პორფირი, რომ უეცრად, მეორე ოთახიდან ფეხის ხმა შემოესმა. აშკარა იყო მიჯნურები გამოსვლას აპირებდენ. პორფირი

მოშორდა კარებს და უიბრუტიფით იწყო ითახში ტრიალი.

— მოღიან, მოღიან! რა ვქნა სად დავიმალო! შეშფოთებული იმეორებდა ის.

ჯერ მან ტახტის ქეეშ შესველა დაპირა მაგრამ თვალი შეასწრო ტანსატმლის შეაფის ღია კარს და იქითკენ გაექანა. ნელა გააღო, სწრაფად შევიდა შიგ და კარი წაიხურა... როგორც იყო თავისუფლათ ამოისუნთქა და სტენათ გადაიქცა. მისი შეაფში შესველა და კარის გაღება, თითქმის ერთსა და იმავე ღრაოს მოხდა. კარებში გამონჩდა ელო... მას გულში ჩაეხუტებდა თოვლიერი თეთრი ციცუნია და ბაგშევით ეფერებოდა და ეალერსებოდა.

— ჩემო ფისუა, ჩემო ფისუნია! აბა სად მიხვიღოდი! განა ჩემს უბეში ყოფნა მოგწინდა, არ გრცევნია! ჩემო ლამაზო, ჩემო მშენიერო!

ეალერსებოდა ელო. ციცუნიაც თითქოს გრგრძნობდა ამ ალერსს, გულში ჩაკროდა და ქმაყოფილების ხრუტუნით აღლედა პასუხს.

ცოლის სიტყვებმა და კატის ხრუტუნმა გამოაფხიზლა პორფირი, უველაფერი გამოირკვა.

— ტფუ! გამოჩერჩეტებულო ჩემო თავით კარა საყაზარელში ვერ გავაჩიერე! ვით სირცეილო.. როგორ შევხედო ჩემს ელოს.. ან კი როგორ გავილე გულში მისი ღალატი? განა ანგელოზს ღალატი შეეძლია. აბა რა ადგილი აქეც გარყვნილებას მის მტრედიერი მოლულუნე გულში! მისი გული წმინდა, უმანკოა!.. გარყვნელა მე ვარ, მე საძაგელი პორფირის სიმაჟე დაიმსხვრა, მისი თამოყარეობა განადგურდა. ის მზათ იყო შეაფიდან გამოვარდნილიყო, ელოს წინაშე გართხობილიყო და ცრემლებით გამოიეთხვა მისგან პატივება მისი სახელის შევრაცყოფისათვის. მათრამ სირცეილი და მისი სასუკილო მდგომარეობა აკავებდა მას.

— მოიცა წავიდეს ჯერ ჩემი მშენიერი ელო და მიშინ გამოვალ ამ საჯანდაბე შეაფიდან, გაიფლო მან გულში... და დაიწყო მოუთმენებლი ლოდინი.

მაგრამ ელო წასვლას თითქოს არ აპირებდა, ის ეალერსებოდა მის ციცუნიას და თან დასეირნობდა. ბოლოს გაუშვა ფისუს ხელი, კარებშე მიდგადა ქუჩაში გაიხედა, და რომ ვერავინ დაინახა თითქოს ნაღვლიანათ წარმოსოჭვა:

— რათ იგვიანებს ნეტავ პორფირი?.. ხომ

არაფერი შეემთხვის? ამ სიტყვებმა სრულიად დააღნი პორფირი.

ელო ისევ უკან შემოტრიალდა და უეცრად მისი თვალები შეაფის ღრიჲეთ დატოვებულმა კარმა მიიძყრო.

— დახუ, წერან შეაფი გავაღე და კი არ და-მიკეტია.

თავისთვის წაილაპარაქა მან, მივიღა შეაფთან შეიდროთ მიხურა კარი, დაკეტა, გასაღები ჩამოაძრო და ჯიბეში ჩაიდგა, შემდეგ იქვე სკამზე ჩამო-ჯდა და ფიქრებს მიეყა.

ელოს უკანასკნელშა მოქმედებამ პორფირს გული გადაუტრიალა. დარჩა შეაფში, გამოსასვლელი გზა დაგეშო. შეაფში საშინელი სიცხე იდგა, პორფირს ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა. და აქ კიდევ ხან კაბა, ხან უეცება, ხან შარვალი ან ტუ-ურქა მოსვენებას არ აძლევდა, პირზე ჩამოეფა-რებოდა და სუნთქვეს უპივრებდა. კარის საესპით დახურვამ შეაფში ჰაიერი კიდევ უფრო. დახუთა. პორფირს უკანასკნელი იმედის ძაფი გაუწყდა ის აშერად ხედავდა, რომ მახეში მოემწყვდა და მისი აუქე სამარცხინოთ თავდებოდა.

— ახია ჩემს თავზე, ახი! უარესი მეცადრება ტფუ! რა სულელური მდგომარეობაა! აბა რა უნდა ვწნა ეხლა!

დროც არ ითმენდა, შეაფში ჰაიერი თანდათან მძმდებოდა და სუნთქვეს უხშობდა.

როდები უნდა დარჩენილიყო ასეთ მდგომა-რეობაში?

ის იძულებული იყო დაეძლია ყოველგვარი სირცევილი და შეაფიდან დახმარება ეთხოვა თავის ცოლისათვის. პორფირიმ მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ლონე და აქან კალებულის ხმით მიმართა ელოს.

— ელო, ელო! შემიბრილე შენს სულს ვენა-ცვალე, გამიღე ამ დასაწვავ შეაფის კარი, თორებ ეს არის დაკირჩევი.

ამ სიტყვებთან ერთად პორფირიშ ნელი დააკაკუნა კარზე. ყრუ ხმამა და კაკუნმა ნელი დაარღვია ოთაში გამეფებული სიჩურე.

ელო შეკრთა, წამოხტა, გაოცებული იყურებოდა აქეთ იქით და ვერ მიმსვდარიყო თუ ვინ ეძახოდა მას.

— ქურდი ხომ არ მოემწყვდია შეაფშიო გაუ-ელვა ასეთმა აზრმა და მისი ნაზი გული შიშმა აი-ტანა.

— ვინ ხარ?! რა ხარ?! უეშინებული, ნაწ-ყვეტ-ნაწყვეტათ იმეორებდა ის.

— მე ვარ, გენაცვალე, შენი პორფირი! აი შეაფის კარი რომ დაკეტე მე შეიგ ვიყავი... და მო-ვეწყვდი! მალე შენ გენაცვალე, მალე გამიღე, თორებ ეს არის, ლამის ძალივით დაკირჩევი! ელ-ომ იცნო პორფირის ხმა, მაგრამ მის გაოცებას სა-ზღვარი არა ჰქონდა ვერ წარმოედგინა თუ რა უნ-დოდა შეაფში პორფირის.

— „პეტაზე ხომ არ შეცდა ნეტავი გაიფიქრა მან.

— კაცო და... მერე შეაფში რა საქმე გქონდა.

— დაგენაცვლოს პორფირი, ოღონდ გამიღე და... უელაფერს გეტყვი, სულყველაფერს თავიდან მოლოდიმირ!

შეშეოთებულმა ელომ აკან კალებული ხელით გააღო კარი და წამსვე უკან დაიხია. შეაფიდან ბარბაცით გამოხოხდა პორფირი გაწითლებული და ოფლში ამოწურული.

— ღმერთო ნუ გადამრევ! შეაფში რა გინდოდა კაცო?

კვლავ გაკვირვებით დაეკითხა ელო და პირ-ჯვარი გადაისახა.

— სისულელე, ჩემო კარგო, სისულელე. ხომ იცი კაცს რომ ღმერთი გაუწყრება ყველაფერს სი-სულელეს ჩაადენიებს!

ელო სრულიად დამშეიდლა, დაწყინარდა და ეხლა პორფირის მდგომარეობას რომ წარმოიდგენდა სიცილი მოსდიოდა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ შეაფში რას აკეთებდი არ იტყვი?.. როგორ მოემწყვდი?.. ხა, ხა, ხა, ხა, ხა.

— კარგი ელო... აიყველაფერს გეტყვი... ღირ-სი ვარ, მაგრამ ნუ დამცინებ შენ გენაცვალე!. კი ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს! აღელვებით და დარცხენით ამბობდა პორფირი —... ხომ ამ დამცინები?

— აბა რას ამბობ რისთვის უნდა დაგცინო! ღიმილით უბასუხა ელომ.

პორფირი ქშენით ჩამოჯდა სკამზე, მაგრამ თავს ისე გრძნობდა, თითქო ეკალზე იჯდა.

პორფირის უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არ იცოდა რა ეთქვა, სიდან დაეწყო „ყველაფერი რო-

გორ მოუყვე, როგორ გამოვაფინო ჩემი სისულელე ფიქრობდა ის. უნდოდა რამე მოეგონები და მით დაექმაყოფილებია ელო, მაგრამ გონიერება არ ემორჩილებოდა. ელო კი პირდაპირ თვალებში შესკეროდა და მისგან პასუხს ითხოვდა. ბოლოს როგორც იყო პორტირიმ დასძლია თავის თავს და ბავშურის გულახდილობით უამბო ელოს ყველაფერი თვალიან ბოლომდის...

— ხა, ხა, ხა, ხა! რა სასაკილოა! ჭალარს გარევამ შეგაშინა! ჩემზე იქვი დაგებად!.. ხა, ხა ხა, ხა! ჩემი ცრუნია საყვარლათ მიიღე! მერე შიშით შკაფში შეძერის ხა, ხა, ხა, ხა! მე კარი დაგიკეტე! ოჸ, ღმერთო რა სასაკილოა, რა სასაკილოა, ხა, ხა, ხა, ხა ხა, ხა, ხა, ხა..

თითქმის ისტერიული სიცილით ხახხარებდა ელო, როცა გაიგო, თუ რაშიც იყო საქმე. ელოს თითეული გაცინება მისი თითეული ამძახილი კვლებივით ესობოდა გულშე საბრალო პორტირის. ის საშინალათ იტანჯებოდა, გრძნობდა თავის დმკირებას.

ბოლოს ელომ სიცილი შესწყიტა, დამშეიდდა შეურაცყოფილი ადამიანის გამომეტყველება მიიღო..!

— მაშ შენ ასეთ საძაგელ ქალად მთვლილი? ასეთი წარმოდგენის იყავი ჩემზე! ღმერთო რა საშინელებაა! მერე რით დავისახურე ყოველივე ეს ნუ თუ ჩემი წმინდა გულით, გულწრფელი სიყვარულით?! ოჸ!..

ელოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გული აუზუყდა და სიტყვების მაგიერ ცხარე ცრემლები გაღმოეფრქვა თვალთაგან.

ელოს ცრემლებმა სრულიად მოშალა პორტირი. სიბრალული, სიყვარული, დანაშაულობის გრძნობა და კიდევ სხვა ათასი გრძნობები ზღვის ტალღასავით აგორდა მის გულში და გაღმოხეთქას ლამობდა. ის გრძნობდა თავის დანაშაულობას, გრძნობდა თუ რა სასჯელი მიაყნა თავის ახლოებრდა ცოლს მისი წინ დაუხედაობით. მას სურდა აეხსნა ელოსთვის მისი უნებლივთ შეცდომა და ცრემლებით გამოეთხოვა პატივება. ის წამოიჭრა ზემდევ აღელვებული, აუხახებული, დაგარდა ელოს ფეხებთან და ვეღრების ხმით მიმართა:

— ელო, ჩემო შევენიერო, ჩემო ციო მოვლენილო, ანგელოზო!.. მაპატივე! ნუ მიწევნ! მე

სრულიად არ მინდოდა შენი შეურაცყოფა! მე თვით არ უჯეროდი ჩემს თავს. მაარივე. გოხოვ! ნუ დამანახებ შენს ცრემლებს თორემ ლამის მეც ავტირდე.

პორტირის ცრემლები მოერია.

ელო ყურს უჯდებდა მის სიტყვებს. მას ვერ ეცნო პორტირი. მის ფეხებთან ეგდო აღამიანი— მწვარი, რომლითაც შეგიძლია ფეხი გაიწმინდო. მან პირველათ იგმნო რაღაც გაურკვეველი ზიზლი ამ საბრალო აღამიანისადმი.

— კარგი, კარგი ეხლა გაპატივებ, მაგრამ აწი მაინც არ გაივლო გულში ასეთი აზრი ჩემზე!— თითქმის ბრძანების კილოთი ეუბნებოდა ელო.

— გმაღლობ ჩემო, გვრიტო! მოგიყვდეს პორტირით თუ კიდევ რამ ასეთი გაივლოს გულში! მაგრამ, მაგრამ შენც ხომ არ მიღალატებ ჩემო ანგელოზო! ხომ მუდამ გვყარები? სხვაზე ხომ არ გამცვლი? ხომ ასე, ხომ!..

— და პორტირი ყელზე მოეხვია ელოს.

— აბა რას ამბობ! კიდევ ექვი გეპარება! შენ როგორ გაგცლი სხვაში!— და ცოლს ტუქებზე მაცრურმა ღიმილმა გაურბინა, ამ ღიმილში ნათლათ ამოკითხავდა აღამიანი რაღაც საიდუმლო განზრახვას.

პოდაგრანთა.

მასწვირული.

(ცოლისთვის)

სალამი შენდა ეშმაკო,
სიცოცხლე მომაქეს გრძელიო...
შეხე, რა რიგათ ამღერდა
დღეს ხონში „გოლგოთელიო“,
უაზრო, უხეშ, ბეც თავთა
ერბითაშად გადამხნელიო.
თუმც მისი მეზათ შლილობა
არ ახალია, ძველიო
მაგრამ ხომ მწყობრად თვდება
ლექსი შიორალ გრძელიო!

პირველ ყოვლისა იკითხავ
ხონში თუ რამე ხოებაო,—

ნუ მკითხავ, შენი ჭირიმე,
კიტრათ არ გამოდგებაი?
„სპირდონით“ ბევრი გაკეთდა,
ბევრს კი აწუხებს ვალიო.
მას ვინ ჩიოდა „ორმოცათ“
არ გამხთარიყო შალიო ..

ვაჭრების გაუმაძლრობას
ცოტათ დაედგა საზღვარი,
მაგრამ რა, აღარ იყითხავ?
რაც რო გვჭირდება არ არი.
ათი შაურით გაგვითხა
ჩამოსახრჩობი ბაწარი, —

ამებს კი გაუძლებლით
რომ ანტიფერშლებს არ ვყავდეთ,
სირცევილი, იმათ რეცეპტებს
აფთიერებში დავყავდეთ?
თუმც სხვების მოხაზულობას
ჩვენ გამოვხატავთ დაირში;
მათი სახელი ცნობილ არს
ისედაც მოკლე შაირში.
ალბათ მათესაც იყითხავ
თავის ამაღლა ბიჭითა:
კურიოს „ალექსანდროულს“
და „ემელს“ განთქმულს ნიჭითა.
გახლავან, ისე, ერთ რიგად
შენაფიქრ, შენალონები;
არ ვიცი ვისვის დაჭირდათ
ამჟამად ცრემლის კონები?
იქნებ თავისას სტირიან
„ყვითელ მეგობრის“ მონები...
უაზროთ დანაბადები,
„თვალ ბედით“ შავი ყორნები!..

—
ექმითა სულის კვეთებამ
ფულით გაითქვა სახელი;
უნდა ვეძიოთ რამე ვზა
ჩვენ, თავად გამოსახსნელი;
თორემ სად „პოლიკარპე“ და —
ვიზიტი ერთი თუმანი?
ეს, რა ცუდ დროში ჩივარდა
„ჯანგელდი“ „ამასთუმანი“!

—
მსურდა მათხოჯზე ცოტა რამ
მეთქვა, რაღაც ვსთქვა ახალი?
რა საცოდავთ მიბობლავს
კვლავ ძეველ შარა გზით მავალი...
მას გამხატავს „ვარლამი“ — ს
გადასაქმება” ფულისა —
თუმც, ეს ფულები, როგორც სთქვა:
შემშრობი არის წყლუისა,
და, მასთანვე ამაო
კვლავ ძებნა და კარგულისა.

ი. გოლგოთისი.

პ ი ე ბ ა

აჭიყვეკიდა ისევ სტეირი
მე კი ცივი კურცხლით ესტრიდი
ჩვენსა ტურფა ქალბატონებს
„კოლოკიოლოთ“ და „ტუფლების
მაღალ ქუსლით ანაწონებს.

გალობს ისევ თვითონ სტეირი
და რიღაი ვიყვე მწირი,
ერთი მაინც თუ ვერ ვნახე
დადიოდეს თავის ფეხით
თავისივე ჰქონდეს სახე.

გაღირია სულმთლად სტეირი
დავრბი, დამილია პირი,
ვეძებ დას და დედას თუ
იყოს თუ გინდ ფეხშიშველი
ოლონ თავში ჰქონდეს კეუა.

სწორედ სტეირი თუ მთვრალი
ჰა ვიპოვნე ორი ქალი,
გავიგონე ტებილი ხმა და
მოვისმინე მწყობრი კილო
და ძეველ „დებთან“ მათი ქება
არ იქნება სათაკილო.

ყოველ-პლიტულ იუგონისტიული გამოცემა

ესმაკი

— მიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის —

ეურნალის ფასი: 12 თვით 7 გ. —
6 თვით 4 გ. — ქ.
3 თვით 2 გ. — ქ.
1 თვით — 70 ქ.

ეშმაკის მათრახში დაბეჭდება მხოლოდ იუმორის-
ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხოვები,
ზღაპრები, არაები, ზრალები, გამოცანები,
ნაკვერცხილა სხვა.

შუალის სამატგრო და სალიტერატურო მხარეს განაჩენს ე ფ ე ბ ი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანონია „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სისხლ როგორც თანამშრომელებს, იგ ხელის მოწერლებს რომ მასალები დ
ფ ული ამ დღის დარღვევა: გმოგზავნონ თეფლის, С. Р. თავართკილაძე, ილგინსკა, 6
პი. აშ. № 96.

ერგელდებიური საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა ქ ს რ თ ვ ე მ ლ ტ“

ერგელგვარებულ სურათებისა და ტექსტების ლინს:

მთხლის ფლიტ — 15 გან., ნახევარის ფლიტ — 9 გან., ხაზის თვით — 5 გან., მრთის თვით — 1 გ. 80 კაპ. ფო-
რეიტ ერთი თანთ გაუმტირ გამოზერა არ მინდა.


წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახილი უემდეგის წესით:
ხელის მოწერის დროს — 7 გან; პირველ მარტისავის 5 გან და პირველ იანვრისათვის 3 გან. ისაც
წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამარ-
თის გამოცვლისათვის ქალაქებრეოლმა ხელის მოწერისა უნდა წარმოადგნოს 50 ქ. ფოსტის მარკა.
ნედაქციის მისამართი: თბილისი მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის უფთი № 76 (იურ. აშშ. № 76)

♦ რედაქტორი: ს. ზანგიაზვალი.

კანტორა ღიაა: დილით — 9-ან — 3 საათამდე, საღამოს — 5-ან — 7 საათამდე. ♦ გამოშეტელი: ამხანგობა
„სამართლებრივი“.

(რკინის გზის მთავარი სახელობრივი)

დაწინაურებული



— თუ მე მუშებს არ გამოვემიჯნე, ისე რა სასარგებლო იქნება
საშსახურში დაწინაურება?

ვ ყ ნ დ ი

„ეშმაკის შათრახის“ რედაქტორ კილევ მიიღო
დახმარება შემდეგი პირებისაგან: ელისე და ნიკო-
ლოს სოლომონისძე ნიკე და ილია მოისრაფეშვი-
ლებისაგან, თელორე და ნესტორ ტულუშებისაგან,
სოლომონ მურვანიძე, კოსტა ურუშებეგ ივ. როყვა,
ლ. ცეცხლაძე, ის. კომახიძე და მიხაკო როყვამ,
ათ ათი შაური სულ 6 მანერი.

რედაქტორი მათ მაღლობას უტხალებს.

რედაქციისაბან

მოვაგონებთ თვიურ ხელის მომწერლებს

მიმოისახო

თავის დროზე

ფ უ ლ ი

ნისიათ ქურნალი არავის არ გაეგზავნება.